

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი

## ქართულ-აფხაზურ ლინგოკულტურულ ურთიერთობათა ისტორია

წიგნი I

### აკაკი წერეთლის პოემა “გამზრდელი”

დამხმარე სახელმძღვანელო უნივერსიტეტების სტუდენტთათვის

პოემის ქართული ტექსტი დიმიტრი გულიასეული  
აფხაზური თარგმანითურთ გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა დაურთო,  
აფხაზურ-ქართული და ქართულ-აფხაზური სასწავლო ლექსიკონები შეადგინა  
**თეიმურაზ გვანცელაძემ**

მეორე შევსებული გამოცემა

გამომცემლობა “ინტელექტი”  
თბილისი  
2010

Ақәатәи ахәынтқарратә университет  
Апһсуа бызшәеи культуреи ринститут

## **АҚЫРҒУА–АПҒСУАТӘ АЛИНГВОКУЛЬТУРАТӘ ЕИМАДАРАҚӘА РҒОУРЫХ**

**АКТӘИ АШӘЖӘЫ**

### **АКАКИ ЦЕРЕҒЕЛИ ИПОЕМА «АБАЗЗЕИ»**

Арцагатә цхыраагза ауниверситетқәа рстудентцәа рзы

Апоема ақырғуа тексти Д. Гулиа еиҒеигаз апһсуа тексти акыпһхьраз ирхиеит,  
апһхьяжәа иқит, апһсуа–қырғуатәи ақырғуа–апһсуатәи арцага жәарқәа  
еиқәиршәеит

**Ғеимураз Гванцелазе**

Ақбатәи ихартәау атыжьра

Ашәкәытыжьырға «Интелекти»

Қарт

2010

წინამდებარე წიგნით იწყება საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტთათვის გამიზნული დამხმარე სახელმძღვანელოთა ახალი სერიის “ქართულ-აფხაზურ ლინგვოკულტურულ ურთიერთობათა ისტორიის” გამოცემა. წიგნში შევიდა აკაკი წერეთლის კლასიკური პოემის “გამზრდელის” ქართული ტექსტი აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიასეული აფხაზური თარგმანითურთ. წიგნს ერთვის წინასიტყვაობა, აფხაზურ-ქართული და ქართულ-აფხაზური სასწავლო ლექსიკონები.

წიგნი გამოადგებათ სტუდენტებს, ქართულ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის სამეცნიერო კვლევის დარგში მომუშავე ენათმეცნიერებს, ლიტერატურათმცოდნეებს, კულტუროლოგებს, აგრეთვე ამ საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

რედაქტორი – მანანა ტაბიძე

რეცენზენტები: თამარ გითოლენდია

სოფიკო ჭაავა

© თ. გვანცელაძე

ISBN

## წინასიტყვაობა

სამწუხარო რეალობაა, რომ XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის იმპერიულმა ძალებმა მოახერხეს თავიანთი ხანგრძლივი ბნელი ოცნების ნაწილობრივ მიღწევა საქართველოს ძირძველ და განუყოფელ ნაწილში – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და დღეს ამ რეგიონში აღარ ვრცელდება მისი ლეგიტიმური მფლობელის, საქართველოს იურისდიქცია, მასობრივადაა გამოდევნილი ქართული და სხვა ეროვნების მოსახლეობის (მათ შორის აფხაზთა) უდიდესი ნაწილი, ქართულ ენას არალეგიტიმურად ჩამოერთვა ერთ-ერთი სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი, უკიდურესად შევიწროებულია მეორე სახელმწიფო ენის, აფხაზურის გამოყენება-ფუნქციონირების სფეროები და ეს ენა გაქრობის რეალური საფრთხის წინაშე დგას, ქართველთა გენეტიკურად მონათესავე აფხაზი ხალხი მასობრივი გარუსების ზღვარზეა, არ არსებობს აფხაზური სიტყვიერი თუ მატერიალური კულტურის განვითარების არანაირი პირობები...

არანაკლებ საგადალოა ისიც, რომ აფხაზური საზოგადოების ერთ ნაწილს ჩაენერგა ქართველის, როგორც აფხაზთა მტრის, ხატი და აფხაზი ახალგაზრდები იზრდებიან ქართველთმომძულეობის განწყობით, პრაქტიკულად დავიწყებას ეძლევა აფხაზ-ქართველთა ჭეშმარიტად ძმური, უანგარო ურთიერთობის ხანგრძლივი და სანიმუშო ისტორიის კონკრეტული მაგალითები, ვინაიდან აფხაზური სკოლა და აფხაზური უნივერსიტეტი რეალურად გადაქცეულია რუსული იმპერიული საგანმანათლებლო სისტემის დანამატად, გარუსების მძლავრ იარაღად და ხელს უწყობენ აფხაზთა შორის ანტიქართული განწყობის გაღრმავებას.

რეგიონში ამჟამად გაბატონებული რუსული საოკუპაციო რეჟიმი, რა თქმა უნდა, არავის მისცემს საშუალებას, ობიექტურად იქნეს გამოკვლეული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორია. არადა სწორედ ამ ისტორიის ღრმა ცოდნა თვალნათლივ დაანახებდა ჩვენს მოძმე აფხაზებს, რომ ქართველები არასოდეს ყოფილან მათი მტრები, რომ მრავალ ქართველ საერო და სასულიერო მოღვაწეს მიუძღვის უდიდესი ღვაწლი მონათესავე ხალხის ენისა და კულტურის სამეცნიერო კვლევისა თუ აფხაზთა იდენტობის (თვითობის) გადარჩენა-განვითარების საქმეში, რომ ქართველს აფხაზი მუდამ თავის უახლოეს ნათესავად და ახლობლად მიაჩნდა.

რაკი, როგორც ითქვა, ამჟამინდელ აფხაზეთში შეუძლებელია ქართულ-აფხაზურ ლინგვოკულტურულ ურთიერთობათა ობიექტური კვლევა და სწავლება, **საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ორმაგად ეკისრება ვალი ამ სტრატეგიული მნიშვნელობის საქმის სწორად წარმართვისათვის:** ამ მიმართულებით მომუშავე ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა ახალი თაობების **მუდმივ აღზრდას** აქვს არა მარტო წმინდა შემეცნებითი, სამეცნიერო და პედაგოგიური, არამედ **უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ენის სწავლებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. სათანადო სალექციო კურსის შემოღება თსუ-ში ამ სასწავლებლის დაარსებისთანავე, 1918 წელს სურდა დიდ ივანე ჯავახიშვილს. მას განზრახული ჰქონდა ამ მიზნით აფხაზური ენის შესანიშნავად მცოდნე პეტრე ჭარაიას ან ნიკო ჯანაშიას მოწვევა, მაგრამ,

სამწუხაროდ, ეს იმ დროს ვერ მოხერხდა დასახელებული ქართველი სპეციალისტების გარდაცვალების გამო. მოგვიანებით, 1924 წელს შესაძლებელი გახდა აღნიშნული მიზნით თსუ-ში აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებლის **დიმიტრი გულიას** მოწვევა, რომელიც ხალხით შეუდგა მუშაობას და ამ საქმეს ორი წლის მანძილზე ემსახურებოდა. 1926 წლიდან აფხაზური ენის სალექციო კურსის კითხვა მიენდო მომავალ აკადემიკოსს, მაშინ სრულიად ჭაბუკ **სიმონ ჯანაშიას**, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა აფხაზური ენა (იგი იზრდებოდა აფხაზურ სოფელ აძვიბუაში, სადაც დედაენის დონეზე შეითვისა ეს ენა). 1937 წლიდან 1994 წლამდე აფხაზური ენის კურსს უძღვებოდა ს. ჯანაშიას ღირსეული მოწაფე, ასევე მომავალი აკადემიკოსი, აფხაზური ენის უდიდესი მკვლევარი **ქეთევან ლომთათიძე**, რომელმაც თსუ კავკასიურ ენათა კათედრის ბაზაზე აღზარდა 60-მდე მომავალი აფხაზი ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი, ლიტერატორი, ჟურნალისტი, მწერალი და პედაგოგი. მართალია, 1994-2006 წლებში კათედრაზე არც მუშაობდა და არც მიწვეული იყო ამ ენის პრაქტიკულად მცოდნე სპეციალისტი, მაგრამ ენის კურსი გარკვეულ დონეზე მაინც იკითხებოდა.

2006-2009 წლები იყო ახალი ეტაპი თსუ-ში აფხაზოლოგიის განვითარების საქმეში, რაც იმით გამოიხატა, რომ კავკასიურ ენათა და კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრების რეორგანიზებით შექმნილ კავკასიოლოგიის ინსტიტუტში ამ სტრიქონების ავტორის მცდელობით შემუშავდა აფხაზური ენის ახლებური სალექციო კურსები როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებზე მოსწავლე სტუდენტებისათვის. ახალ კურსებში ტრადიციად ქცეული თეორიული ნაწილის პარალელურად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სტუდენტების მიერ ენის პრაქტიკულად შესწავლასაც, რაც უდავოდ აუცილებელია. ამასთანავე ბაკალავრიატში 2008 წლიდან ამ სტრიქონების ავტორმა დააარსა **აფხაზოლოგიის სასპეციალიზაციო მოდული**, რომელიც 2010 წლის ზაფხულისათვის გამოუშვებს აფხაზოლოგ მაგისტრთა პირველ ნაკადს. ჩვენივე ინიციატივით საუნივერსიტეტო სწავლების ორივე დონეზე (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში) პირველად თსუ ისტორიაში შემოღებულ იქნა ისეთი სალექციო კურსებიც, როგორცაა: **“აფხაზური ფოლკლორი”**, **“აფხაზური ლიტერატურის ისტორია”**, **“აფხაზი ხალხის ეთნოგრაფია”**, **“აფხაზური ტექსტის ლინგვისტური ანალიზი”**, **“აფხაზურ-აბაზური დიალექტოლოგია”**.

მეორე უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, არის **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი** (თსუ ყოფილი სოხუმის ფილიალი). ამ სასწავლებელში, ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტთათვის 2000 წელს შემოღებულ იქნა აფხაზური ენის ორსემესტრიანი ფაკულტატური კურსი, რომელსაც ამ სტრიქონების ავტორი უძღვებოდა. შემდგომში კურსი გაფართოვდა და 2006 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის უკვე შვიდ სემესტრად იკითხებოდა, მაგრამ 2006 წლიდან რეფორმის სახელით ეს კურსი შეიკვეცა ერთ სემესტრამდე, რაც ფაქტობრივად წყალში ყრიდა მიღწეულ შედეგებს, ვინაიდან ერთ სემესტრში ყოვლად შეუძლებელია ნებისმიერი ენის სტრუქტურის შესწავლა და პრაქტიკული ათვისება, მით უმეტეს, რომ აფხაზური ენა მსოფლიოს ენათა შორის გამოირჩევა იმით, რომ მეტად რთული სისტემის მქონე ენაა. მხოლოდ 2008 წლისათვის გახდა შესაძლებელი ამ ჩავარდნის აღმოფხვრა, რაშიც დიდი დახმარება გაავიწია უნივერსიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ რექტორის, პროფ. **ჯონი აფაქიძის** მეთაურობით. სწორედ მისი აქტიური მხარდაჭერით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **2008 წელს დაარსდა აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი**, რომელიც დაკომპლექტდა ახალგაზრდა პერსპექტიული კადრებით, ხოლო

ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის **2009-2010 სასწავლო წელს გაიხსნა ახალი სპეციალობა “აფხაზური ენა და ლიტერატურა”**.

2000 წელსვე აფხაზური ენის ფაკულტატური კურსი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის მანანა ბუკიას ინიციატივით შემოღებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ზუგდიდის ფილიალშიც**, მაგრამ იმავე 2006 წლისათვის კვლავ რეფორმის სახელით (?) გაუქმდა ეს კურსი.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს **დამხმარე სახელმძღვანელოს** უნივერსიტეტების იმ სტუდენტებისათვის, ვინც თავის ძირითად თუ მეორე სპეციალობად აფხაზთმცოდნეობას ირჩევს. ამ გამოცემით ვიწყებთ ქართულ-აფხაზურ ლინგვოკულტურულ ურთიერთობათა ისტორიის ამსახველი სახელმძღვანელოების სერიის ბეჭდვას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტობას, შეისწავლონ ენობრივ-ლიტერატურულ მასალაში ასახული ხანგრძლივი და ღრმა ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობანი. ამ სერიის პირველ წიგნად აკაკი წერეთლის პოემა “გამზრდელის” ქართული ორიგინალისა და მისი აფხაზური თარგმანის შერჩევა შემთხვევითი სულაც არ არის:

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოწინავე აფხაზურ ინტელიგენციასთან, განსაკუთრებით კი აფხაზეთის უკანასკნელ მთავართან გიორგი შარვაშიძესთან. ეს ორი მოღვაწე ერთნაირად მიიჩნევდა, რომ აფხაზი და ქართველი ხალხები ურთიერთმონათესავე ხალხებია, მათ უამრავი რამ აკავშირებს ერთიმეორესთან და ამ ხანგრძლივი და ღრმა ისტორიული ურთიერთობის განმტკიცება სასარგებლოა მათთვის; აკაკის ასევე მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდა თავის გიმნაზიის თანაკლასელთან, აფხაზ მოღვაწე კიჭინ მარღანიასთანაც, რომელსაც იგი სოფელ აძვიბუაშიც სტუმრებია.

აკაკი წერეთლის მიერ დაარსებულ “აკაკის თვითურ კრებულში” თვით აკაკის ინიციატივით ქვეყნდებოდა აფხაზური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები;

აკაკის შემოქმედების ერთ-ერთი მწვერვალის, პოემა “გამზრდელის” სიუჟეტის ნაწილი ვითარდება აფხაზეთში და მისი პერსონაჟი, აფხაზი ბათუ გამოირჩევა საუკეთესო ადამიანური თვისებებით. ეს არის კაცი, რომელიც მეტად რთულ ვითარებაში იღებს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას: მან შეძლო მორეოდა თავს და მისი ოჯახის სიწმინდისა და ძუძუმტეობის ამამაღლებელი ტრადიციის შემბლავ კაცს მიუტევა დანაშაული, თუმც ეს მისთვის იოლი სულაც არ ყოფილა.

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ საიდან მომდინარეობს პოემის სიუჟეტი: ერთნი მიიჩნევენ, რომ აკაკის შექმნილ ეს ამბავი მოესმინა თავისი უახლოესი მეგობრისა და თანამოაზრისაგან, გიორგი შარვაშიძისაგან (ო. ჭურდულია), მაგრამ არსებობს ცნობილი მეწარმისა და მეცენატის მიტროფანე ლადიძის ცნობა, რომლის თანახმადაც აკაკისათვის ეს სიუჟეტი უამბია **ჯანსუღ (გიორგი) თენგიზის ძე დადეშქელიანს**, პოეტის დისწულის ანეტა დადიანის მეუღლეს. როგორც მიიჩნევენ მკვლევარი ჯულიეტა გაბობძე, ეს უკანასკნელი ცნობა უფრო სანდოა (იხ.: ჯ. გაბობძე, აკაკის თხზულებათა გამოცემები. თბილისი, 2009, გვ. 283-284).

არა მარტო პოემა “გამზრდელმა”, არამედ მთლიანად აკაკის პოეზიამ დიდი გავლენა მოახდინა აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებლის **დიმიტრი გულიას** შემოქმედებაზე. მაგალითად, თბილისში 1912 წელს გამოცემულ დ. გულიას ლექსების პირველ კრებულში, რომლითაც იწყება აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ისტორია, აშკარად იგრძნობა აკაკისეული ლექსთწყობის გავლენა. გარდა ამისა, დ. გულიამ უშუალოდ ქართული ენიდან აფხაზურ ენაზე ბრწყინვალედ თარგმნა არა მარტო აკაკის პოემა “გამზრდელი”, არამედ შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი”, დანიელ ჭონქაძის მოთხრობა “სურამის ციხე”, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები “ხმა იდუმალი”, “საყურე”, “სუმბული და მწირი”, ილია ჭავჭავაძის პოემა “რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი

ყაჩადის ცხოვრებიდამ (კაკო ყაჩადი)", აკაკი წერეთლისავე ლექსები "პოეტი" და "სიზმარი", სანდრო შანშიაშვილის ლექსი "ჩემი ბაღი". პოეტს დაწერილი აქვს ლექსები ილია ჭავჭავაძის "გაზაფხულის" ("ტყემ მოისხა ფოთოლი..."), აგრეთვე ქართული სიმღერების – "მიყვარს ფაცხა მე მეგრული"-სა და "ხუჭუჭა გოგო"-ს მოტივებზე;

დ. გულიამ პოემა "გამზრდელი" აფხაზურ ენაზე მართლაც რომ მაღალ დონეზე თარგმნა 1919 წელს (ეს თარგმანი პირველად 1923 წელს გამოიცა ცალკე წიგნაკად), რითაც თავისი წვლილი შეიტანა ქართულ-აფხაზურ კულტურულ ურთიერთობათა განმტკიცების საქმეში. პოემის თარგმანმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა აფხაზ ხალხში. იგი იმდენად აქტუალურია თავისი შინაარსითა და იდეით, იმდენად შეერწყა აფხაზი ხალხის მხატვრულ გემოვნებასა და ეთნოფსიქოლოგიას, რომ პოემა ერთ-ერთ უსაყვარლეს მხატვრულ ნაწარმოებად მიიჩნევა და იგი დღესაც კი შედის აფხაზური სკოლის პროგრამაში, თუმცა, საუბედუროდ, იგივე აფხაზური სკოლა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სულაც არ უწყობს ხელს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა განმტკიცებას.

აკაკი წერეთლის პოემა "გამზრდელი" თავისი იდეითა და მხატვრული ღირსებებით გამორჩეული თხზულებაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას ილიას, ვაჟას, ალ. ყაზბეგის თხზულებათა მსგავსად უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ზოგადქართული თვალსაზრისით, არამედ ზოგადკავკასიური მასშტაბითაც. ცნობილია, რომ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ის თაობა, რომელსაც ეკუთვნოდა აკაკი, ე.ი. თერგდალეულები, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ზნეობისა და ამაღლებული ტრადიციების ერთგულების პრობლემებს. მათ ესმოდათ, რომ ადამიანი სუსტი არსებაა და ეშმაკის ზეგავლენით იოლად შეიძლება დაეშვას უზნეობის ჭაობში. თერგდალეულთა მთავარი მიზანი ქართველი ერისა და საქართველოს რუსეთის ბორკილებისაგან გამოსხნა იყო. ისინი ამ მიზნის მისაღწევ გზაზე საზოგადოების ზნეობის ამაღლებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ დაბადებითვე უზნეო, ან ზნეობის საცალფეხო ბილიკზე თუნდაც წამიერად წაფორხილებული კაცი სახიფათოა მთელი საზოგადოებისათვის. ასეთ კაცს შეუძლია საქვეყნო საქმეც დაღუპოს და მოყვასსაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს (გავიხსენოთ ონისე და ძიძია ალ. ყაზბეგის მოთხრობა "ხვეისბერი გოჩა"-დან, რომელთა ზნეობრივმა დანაშაულმა იმსხვერპლა ონისეს მრავალი თანამებრძოლი და ოჯახი დაუნგრია ონისეს მეგობარ გუგუა ფიჩიტაურს). არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ თერგდალეულებს ერისა და ქვეყნის განთავისუფლება შეუძლებლად მიაჩნდათ მეზობელ კავკასიელ ხალხებთან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კოორდინირების გარეშე. მაგალითად, ილია ჭავჭავაძე პოემა "აჩრდილში" მკითხველს იმ აზრს უნერგავდა, რომ ქართველთა ერთობლივ ბრძოლას თავისუფლებისათვის მხოლოდ მაშინ მოჰყვება სასურველი შედეგი, თუ კავკასიის სხვა ხალხებიც აიტაცებენ ამგვარი ბრძოლის დროშას და ამით განიდიდებენ თავს. ეს აზრი ასეა ჩამოყალიბებული:

როდისღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა  
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა,  
დროსთან დანთქმულსა სხვადასხვათა კავშირთა ბრძოლას,  
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?  
როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთარსებისა,  
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?  
როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა  
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?  
თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალეება

როდის დაადნობს დაუანგებულს დიდ ხნის ბორკილსა  
და ქართველობა სიქადულად როდის ექნება  
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა შვილსა?

იგივე იდეა გამოთქმულია ილიას პოემაში “ქართველის დედა (სცენა მომავალ ცხოვრებლამ)“:

ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!  
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,  
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, –  
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!..

რა თქმა უნდა, აკაკიც იზიარებდა ამ იდეას და იგი გამოხატა კიდევ პოემა “გამზრდელში”. ვინც ყურადღებით გაეცნობა აკაკის ამ ბრწყინვალე ნაწარმოებს, შეუძლებელია, ვერ შენიშნოს, რომ პოემაში პერსონაჟებად სამი ურთიერთმონათესავე კავკასიელი ხალხის წარმომადგენლები არიან შემოყვანილნი: ნაზიბროლა ქართველია (“სამეგრელოს ასულია”), ბათუ და ალმასხიტ ინალ-იფა აფხაზები არიან, ხოლო საფარ-ბეგი, ჰაჯი-უსუბი და ზია-ხანუმი – ყაბარდოელები (ჩერქეზები). ამათგან ავტორი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით გვიხატავს აფხაზ ბათუსა და ყაბარდოელ (ჩერქეზ) ჰაჯი-უსუბს, რომლებიც გამოირჩევიან კიდევაც მაღალი ზნეობითა და მეტად გამახვილებული პასუხისმგებლობით. ამ ორმა ვაჟკაცმა შეძლო ის, რაც ყველა მოკვდავს არ ხელეწიფება: ბათუმ მისი ოჯახის სიწმინდის შემბლავ საფარ-ბეგს მიუტევა დანაშაული, ხოლო ჰაჯი-უსუბმა თავისი აღზრდილის უზნეობა საკუთარ დანაშაულად მიიჩნია და თავს სიცოცხლის უფლებაც კი აღუკვეთა. ამ პოემით აკაკი აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ, კავკასიელ ხალხებს, სტუმარმასპინძლობისა და ძუძუმტეობის ინსტიტუტთა სახით გვაქვს ზოგადკავკასიური ცივილიზაციის დამამშვენებელი მეტად ღრმააზროვანი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, რომლებსაც ადამიანის სულის ამალგება, სხვადასხვა ეროვნებისა და რჯულის მქონე ადამიანთა დაახლოება ძალუძთ და მათი მივიწყება არ ეგების. საყურადღებოა ისიც, რომ მწერალმა ეს პოემა პედაგოგებს მიუძღვნა, რითაც მკითხველს მიანიშნა კავკასიელ ხალხთა შორის გავრცელებული ჰუმანური ტრადიციების საფუძველზე ახალი თაობების აღზრდის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

აკაკის პოემა “გამზრდელი” განსაკუთრებით ჰყვარებია. სიკვდილის წინ ლოგინად ჩავარდნილ პოეტს ანეტა იურკევიჩისათვის, რომელიც მას თავს ადგა და უვლიდა, უთხოვია, ჩემი ნაწერები წამიკითხეთ. ა. იურკევიჩი წერს:

“ბევრი რამ წავუკითხე იმ ღამეს და სხვათა შორის “გამზრდელის” კითხვაც დავიწყე. როდესაც დასასრულს მიუახლოვდი და ეს ტაეპი წავიკითხე:

“მაგრამ უსუფ ეუბნება:

– შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?

სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,

რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!”

საყვარელმა მოძღვარმა ტირილი დაიწყო... მე შეშინებულმა მოვახსენე, რომ კითხვას სრულებით თავს დავანებებ-მეთქი. მან აღელვებით მიბრძანა: ”არა, არა, მე არა ვსტირი, მაგრამ ეს მართლა კარგად დამიწერია”.

რაც შეეხება აკაკის პოემის აფხაზური თარგმანის ლინგვოკულტურულ თავისებურებებს, უნდა აღინიშნოს, რომ დ. გულიასეული თარგმანი ამ მხრივაც მდიდარ მასალას აწვდის როგორც სტუდენტებს, ისე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, ლინგვოკულტუროლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის,



თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის ისტორიის, ეთნოფსიქოლოგიისა და სხვა მომიჯნავე დარგებში მომუშავე მკვლევარებსაც.

ორ ენაზე მოწოდებული მხატვრული ტექსტი საშუალებას იძლევა, დაუბრკოლებლად შევუდაროთ ერთმანეთს ქართული და აფხაზური ტექსტების სახიარო და განსხვავებული ენობრივი (ლექსიკური, ფრაზეოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური), სახისმეტყველებით-მხატვრული თავისებურებანი (რიტმი, რითმა, შედარება-მეტაფორები...), ვეძიოთ ენაში კოდირებული ქართულ-აფხაზური კულტურული კავშირები, თუ ორივე ხალხის ხანგრძლივი ისტორიის ამსახველი მეტად საინტერესო მასალა. ამგვარი კვლევის გასაადვილებლად წიგნს დაეურთეთ აფხაზურ-ქართული და ქართულ-აფხაზური სასწავლო ლექსიკონები, რომლებშიც წარმოდგენილი და მეორე ენაზე თარგმნილია ყველა ის სიტყვა, რომლებიც გამოყენებულია, ერთი მხრივ, ქართულ ორიგინალში და, მეორე მხრივ, პოემის აფხაზურ თარგმანში. ამით მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა, დაადგინოს, თუ რა ლექსიკური საშუალებანი შეინარჩუნა მთარგმნელმა უცვლელად და რა შეცვალა სხვა ენობრივი საშუალებებით.

ავიღოთ, მაგალითად, აკაკის პოემის სათაური. უკვე სათაურიდანვე მწერალი ხაზს უსვამს, რომ პოემა ახალი თაობის აღზრდის, ღირსეული პიროვნების ჩამოყალიბების აქტუალურ პრობლემას ეძღვნება. როცა მკითხველი ტექსტს ბოლომდე ეცნობა, იგი რწმუნდება, რომ აკაკი ამ პრობლემას მართლაც იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ ჰაჯი-უსუბს, ვითარცა პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე აღმზრდელს, თავისი ბუნებისაგან ვერნაშველები აღზრდილის დანაშაულის გამო თვითმკვლელობით დაასჯევინებს თავს.

ქართულ სამწიგნობრო ენასა და ქართველურ დიალექტებში სიტყვა “გამზრდელის” რამდენიმე სრული თუ ნაწილობრივი სინონიმი არსებობს: **აღმზრდელი**, **გამდელი** (აღნიშნავს ქალს), **მორდუ**, **ძიძა** (აღნიშნავს ქალს), **მამამძუძე**, **ლალა**... თითოეულ მათგანს თავისი სემანტიკური და კონოტაციური თავისებურება აქვს. თავისი პოემის სათაურად აკაკიმ ამ სიტყვათაგან შედარებით ზოგადი სემანტიკისა და ნეიტრალური კონოტაციის მქონე **გამზრდელი** აირჩია, რომელიც გულისხმობს ნებისმიერ ადამიანს, ქალსაც და მამაკაცსაც, ვინც ზრდის ნებისმიერი ასაკის საკუთარ თუ სხვის ბავშვს. პოემის ტექსტიდან ცხადი ხდება, რომ ყაბარდოელ (ჩერქეზ) თავადიშვილ საფარ-ბეგს ორი გამზრდელი ჰყოლია: მას ჩვილობის ასაკში ძუძუს აფხაზი ქალი, ბათუს დედა აწოვებდა და ეს ქალბატონი საფარის **ძიძა** იყო, ხოლო შემდგომში საფარ-ბეგი ასევე ყაბარდოელი (ჩერქეზი) ჰაჯი-უსუბისათვის მიუბარებიათ ვაჟუაცისა და თავადისათვის საჭირო ცოდნისა და, როგორც ახლა იტყვიან, უნარ-ჩვევების მისაღებად, ე.ი. ჰაჯი-უსუბი საფარის **აღმზრდელი**, მისი **მასწავლებელი**, **მოდღვარია**.

აფხაზურ ენაშიც არსებობს ზემოთ დასახელებულ ქართველურ ტერმინთა შესაბამისი რამდენიმე სიტყვა: **аазаады** (ააძავე) “გამზრდელი, აღმზრდელი”, **агаңдал** (აგანდალ) “გამდელი” (ნასესხებია ქართული ენიდან, აღნიშნავს ქალს), **аззеи** (აძძეი) “ძიძა” (ნასესხებია ქართულიდან, აღნიშნავს ქალს), **аназзеи** (ანაძძეი) “ძიძა” (ზედმიწვევით “დედაძიძა”, ჰიბრიდული, აფხაზურ-ქართული კომპოზიცია, აღნიშნავს ქალს), **абаззеи** (აბაძძეი) “მამამძუძე, ძიძის ქმარი” (ჰიბრიდული, აფხაზურ-ქართული კომპოზიცია, აღნიშნავს მამაკაცს).

ქართული ტექსტის აფხაზურ ენაზე თარგმნისას დ. გულიას შეეძლო გამოეყენებინა სიტყვა **аазаады** “გამზრდელი, აღმზრდელი”, რომელიც ზუსტი შესატყვისია ქართული “გამზრდელისა”, მაგრამ მან სიტყვა **абаззеи** “მამამძუძე, ძიძის ქმარი” აირჩია, რითაც თითქოს შეცდომა დაუშვა, რაკი ჰაჯი-უსუბი არც ბათუს მამა ყოფილა და არც ბათუს დედის ქმარი. ამ სიტყვის შერჩევა, ერთი

შეხედვით, გაუმართლებელი ჩანს კიდევ ერთი სემანტიკური თავისებურების გამოც: ბაგრატ ჯანაშიას “აფხაზურ-ქართული ლექსიკონის” (1954 წ.)

მიხედვით (იხ. ამ წიგნის სვეტი 10), **აბაჯენი** სიტყვას აფხაზურში, გარდა მითითებული მნიშვნელობისა, **ნათლიმამის** სემანტიკაც აქვს, ჰაჯი-უსუბი კი საფარ-ბეგის ოჯახის ნათლიმამა ვერ იქნებოდა, ის შეიძლება საფარის ნათლია ყოფილიყო, რომ არა მათი მაჰმადიანობა.

ამრიგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დიმიტრი გულიამ ამ შემთხვევაში ზუსტად ვერ გადმოსცა პოემის სათაურში აკაკის მიერ ნაგულისხმევი აზრი. მაგრამ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ჩვენ მიერ აფხაზურ სოფლებში მოპოვებული საექსპედიციო მასალები გვიდასტურებენ, რომ ამ სიტყვას კიდევ ერთი ის მნიშვნელობა ჰქონია, რაც არ ასახულა არც ხსენებულ და არც სხვა ლექსიკონში: ტერმინი **აბაჯენი** ნათლიასაც ნიშნავს. ეს ფაქტი გვიხსნის, თუ რატომ გამოიყენა ეს ტერმინი დ. გულიამ, რომელიც ბრწყინვალედ ფლობდა დედაენას და XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აქტიურადაც მონაწილეობდა ბიბლიის აფხაზურ ენაზე თარგმნის საქმეში – მან იცოდა დასახელებული სიტყვის ყველა მნიშვნელობა. ვფიქრობთ, ცხადია, რომ მთარგმნელმა სწორედ განსახილველი სიტყვის შერჩევით მიანიშნა მკითხველს, რომ **ჰაჯი-უსუბი საფარ-ბეგისთვის უბრალოდ მასწავლებელი კი არა, არამედ მისი სულის ისეთივე მეგობარი უნდა ყოფილიყო, როგორც, ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, უნდა იყოს ნათლია ნათლულისათვის.**

ამრიგად, ეს ერთი კონკრეტული მაგალითიც გვიჩვენებს, თუ როგორი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია დიმიტრი გულია აკაკი წერეთლის პოემის თარგმნის საქმეს, თუ რა ღრმად წვდებოდა იგი ნაწარმოების სათქმელს. ამგვარი მაგალითი თარგმანში სხვაც არაერთია, რის გამოც თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზი პოეტი მართლაც რომ ოსტატურად ცდილობდა ქართული თხზულების სათქმელის სრულყოფილად გადმოცემასაც და მისი მხატვრული სურნელის შენარჩუნებასაც. მან მართლაც დიდი საქმე გააკეთა აკაკის პოემის თავის დედაენაზე შესანიშნავად გადაღებით. ამით დ. გულიამ თავისი წვლილი შეიტანა, ერთი მხრივ, ქართულ-აფხაზურ კულტურულ ურთიერთობათა გაღმავების საქმეში, მეორე მხრივ კი ხელი შეუწყო აფხაზ მკითხველს, გასცნობოდა და შეეყვარებინა ქართული კლასიკური მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები, რომელიც მიზნად ადამიანის სულის დახვეწას ისახავს.

დამატებით ორიოდე სიტყვა წინამდებარე სახელმძღვანელოსათვის დართული აფხაზურ-ქართული და ქართულ-აფხაზური სასწავლო ლექსიკონების შესახებაც უნდა ითქვას. მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ:

1. ქართულ-აფხაზურ ლექსიკონში აფხაზურ ენაზე განიმარტება აკაკისეულ ტექსტში წარმოდგენილი ყველა ქართული სიტყვის ის მნიშვნელობები, რომლებიც მათ პოემაში აქვთ;
2. აფხაზურ-ქართულ ლექსიკონში ქართულად განიმარტება აფხაზურ სიტყვათა ის მნიშვნელობები, რომლებიც მათ აქვე წარმოდგენილ თარგმანის ტექსტში აქვთ;
3. ორივე ლექსიკონში ხშირად მითითებულია ორიგინალსა და თარგმანში გამოყენებულ სიტყვათა სხვა ძირითადი მნიშვნელობანიც, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტსაც და მეცნიერსაც, დააკვირდეს სიტყვათა სემანტიკურ ცვლილებებსა და ახალ მნიშვნელობათა წარმოქმნის თავისებურებებს, თუ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ჩამოყალიბების კანონზომიერებებს, რაც მნიშვნელოვანია როგორც სასწავლო, ისე კვლევითი თვალსაზრისით.

# აკაკი წერეთელი გამზრდელი

ნამდვილი ამბავი

გუძღვნი ჩვენს პედაგოგებს

## I

მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად,  
მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს;  
თვალთ ისარი შენატყორცი  
ვერ არჩევს მის სიგრძეს და განს.

ის ფაცხაა მღვიმის პირად  
მიწნული და მიგრეხილი,  
დრო და უამის შესაფერად  
ზამთარ – თბილი, ზაფხულ– გრილი.

როდესაც მთა ბარს და ვაკეს  
ემუქრება წარღვნა-ღელვას,  
ფაცხაც ღრუბელს გარს იბურავს,  
ეკრძალება ჭექა-ელვას.

მაგრამ როცა დაჰქათქათებს  
თავზე იქვე მზე და მთვარე  
და თვალის წინ ფიანდაზად

ეფინება არემარე,

მაშინ ფაცხა უბრალობით  
მომხიბლავად ლამაზია  
და იმასთან ყველა ტყუის,  
რაც კი ციხე-დარბაზია.

გზა მოუძღვის საცალფეხო,  
მიხვეული, მოხვეული;  
მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს  
მარჯვე თვალი, მტკიცე გული;

ანუ ჰყავდეს რაში ცხენი,  
მთაში გაზრდილ-გამოწვრთნილი:  
კლდიდან კლდეზე გადამფრენი,  
უშიშარი და თან ფრთხილი.

ამ შორეულ ფაცხა-მღვიმეს  
ვინ ჰპატრონობს, ვისი არის?  
და საამო კარ-მიდამოს  
ვინ შესტრფის და ვინ შეჰხარის?

ერთი ვინმე ახალგაზრდა  
აფხაზია, ამ მთის შვილი,  
რთულ ცხოვრების უარმყოფი,  
მცირედითაც კმაყოფილი.

კარგი თოფი, კარგი ხმალი,  
კარგი ცხენი და ნაბადი!...  
რას ინატრებს სხვას, ამის მეტს,  
კაცი მისებრ დანაბადი?

მხოლოდ ერთს კი და ის ერთიც  
არის მარტო სიყვარული,  
რითაც მხოლოდ ქვეყნიური  
ნეტარება არის სრული.

ბედმა ესეც არ დააკლო,  
განასხვავა, ვით რჩეული,  
სიყვარულსა, მის მონაშუქს,  
მიაშუქა სიყვარული:

ერთი თვეა, რაც რომ ცოლად

მიიყვანა, ვინც უყვარდა,  
ვისაც გულში ცასქვეშეთი  
შეუწონა, შეუფარდა...

ნაზიბროლა – სახელია,  
სამეგრელოს ასულია,  
მოწვევტილი ცით ვარსკვლავი  
ედემს ალვად ასულია!...

ელფერობით ვარდი არის,  
სინაზით კი – მორცხვი ია...  
ტრფობისათვის ჯერ პირველად  
გულის კარი გაუღია.

ცა და ქვეყნის შუამავლად  
მიაჩნია მას აფხაზი!..  
გულში გულს სდებს, სულში სულს  
სცვლის  
ხორცს ეწმახვნის სურო-ვაზი!..

ნეტავი მათ!.. მათ სიყვარულს  
და მათ უხმო აღსარებას!..  
ერთად ჰგროძნობენ ამ ქვეყნადვე  
სასუფევლის ნეტარებას...

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი  
გაახარებს ვისმე განა?  
თაფლში ურევს მწარე ნაღველს!  
მტრისას მისი გამოცანა!..

## II

ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს  
თითი თვალთან მიტანილი!..  
ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ  
ნადირსაც კი უფროთხო ძილი!..

ქარი ზუის გულსაკლავად,  
წვიმა უშვებს კოკის პირად;

ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში  
გავარდება მეხი ხშირად.

თითქო მართლა თვით ჯოჯოხეთს  
აუშვია ქვეყნად ზარი!  
აიტანა შიშის ქარმა  
თანასწორად მთა და ბარი!

ამ დროს ხოლმე თვით ეშმაკიც  
ექებს ძრწოლით თავშესაფარს,  
მაგრამ, დახეთ, ვიღაც მეზავრი  
სტუმრად მოსდგა აფხაზის კარს!!!

დაურეკა და ხმა მისცა:  
“გამომხედეთ!.. ვინ ხართ შინა?  
სტუმარი ღვთის კარზე ვდგავარ,  
ცხენს და კაცსა გვინდა ბინა!”

გაუკვირდა აფხაზს და სთქვა:  
“ამ თავსხმაში ეს ვინ არი?!”  
შეუკიდა ცეცხლს და უცბად  
გამოაღო ფაცხის კარი.

გავიდა და შემოუძღვა  
ფეხებამდე დასველებულს,  
მიიყვანა ცეცხლის პირად,  
უდგამს სამფეხ სკამს – დაღალულს.

ხმას არ იღებს ჯერ სტუმარი,  
ნაბდის თასმებს ნელა იხსნის.....  
თავ-პირი აქვს შებუდნული  
ყაბალახით და იცინის!..

ჯერ ნაბადი მიაყუდა,  
ბნელ კუთხისკენ მიდგა წყნარა  
და, ბაშლიყი რომ გადიძრო,  
მოტრიალდა უკან ჩქარა:

–“მასპინძელო! – სიცილით სთქვა, –

წახდა ჩემი ხუმრობაო!..  
ვერ მიცანი, თუ გეწვინა  
ეს უდროო სტუმრობაო?”

–“საფარ, შენ ხარ?.. ენაცვალოს  
ძიძის შვილი მაგ შენს თავსო...  
ეს თვალები რაღას ნახვენ  
შენს უკეთეს სანახავსო?”

მოეხვია, გადაკოცნა,  
როგორც ძმა და თვისი ტოლი,  
და მერე კი გააღვიძა  
შიგნით მწოლი მისი ცოლი.

შეეხვეწა: –” აბა, ჩქარა,  
მოამზადე ვახშამიო:  
შორი გზა აქვს გამოვლილი,  
არ ექნება ნაჭამიო”.

– “არა, ბათუ, ვახშამს არ ვჭამ,  
არ მცალია იმისთვისო!  
მე სხვა მადა მაქვს აშლილი,  
სხვანაირი გულისტქმისო...”

უპასუხა და მოუყვა:  
–“მინდა გითხრა ჩემი ჭირი:  
დღემდის მტკიცე პირიანსა,  
დღეს მიტყდება, ძმაო, პირი!

აღმასხიტს ხომ კარგად იცნობ,  
თავმომწონე ინალ-იფას?  
მის ცხენსა და მის იარაღს  
ვერვინ დასდებს ღირსეულ ფასს.

ვაჟკაცია თვალ-ტანადი,  
ცხენოსანი უებარი!..  
მეტოქეა ჩემი მხოლოდ  
ერთადერთი საშიშარი.

შორს გაისმის მისი ქება,  
ჩვენშიც ხშირი სტუმარია;  
ბიჭობით და სილამაზით  
ქალებიც კი გადარია.

ერთი მხოლოდ ზია-ხანუმ  
არად აგდებს, არც უყურებს,  
რადგან იცის, რომ სხვებსავე  
იმას ის ვერ იმსახურებს.

ზია-ხანუმ, შენც კი იცი,  
რომ მშვენებით განთქმულია;  
ბევრი კარგი ახალგაზრდა  
მისი ეშხით დაბმულია!..

მთვარესავით ხელუხლები, –  
სხივებს ჰფენს და არვის ათბობს;  
მომხიბლავი შორეულად  
თანასწორად ყველას ატკობს.

ჯერ გაჰღალავს, მიიბირებს,  
დაიმონებს, იგდებს ხელში,  
მერე უნდა გამოსცადოს:  
აგდებს მის მსხვერპლს  
განსაცდელში!..

მეც მომხიბლა ჯადოსანმა,  
დამამარცხა, დამიმონა!..  
და, თუ ქალი მაჯობებდა,  
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...

დამაჩემა: –“თუ გიყვარვარ  
და ხარ ჩემი მოგვარეო,  
ინალ-იფას ლურჯი ცხენი  
ამ სამ დღეში მომგვარეო!”

ინალ-იფა მის ბედაურს  
არ დაუთმობს ნებით გამჩენს  
და, თუ ვინმე ძალას იხმარს,  
შეაკედება, არ შეარჩენს!

სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა  
მხოლოდ ერთადერთი ღონე,  
თუმც კი სხვა დროს არ იკადრებს  
ამას კაცი თავმომწონე.



აი, რისთვის მოვსულვარ აქ,  
ჩემო კარგო მეგობარო!  
მე მინდა, რომ აღმასხიტის  
ლურჯი ლაფშა მოვიპარო.”

მოუსმინა ძიძის შვილმა,  
ყველა კარგად გაიგონა,  
მაგრამ საქმემ უკუღმართმა  
შეაწუხა, დააღონა.

უთხრა: – “გწუხვარ, რომ ეგ საქმე  
უკადრისი გიკისრია,  
მაგრამ რადგან სიყვარულის  
ტკბილი სენი შენც შეგყრია,

გზა აღარ გაქვს!.. უნდა გული  
დაუდვა და ემსახურო,  
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის  
ოფლი აღარ მოიწურო:

მის ოცნებას, მის გულისთქმას  
უნდა მიჰყვე, დაემონო,  
გინდ სიცოცხლეც შენი ტკბილი  
მწარე სიკვდილს შეუწონო.

ეს შენც იცი, – არ ხარ ქვეყნის  
უცადი და უმეცარი, –  
სავაჟაკოდ გამოსული,  
უღრეკი და უშიშარი!

მაგრამ მარტო უშიშრობა  
ძლევისათვის არა კმარა,  
თუ სიფრთხილეც გონივრული  
დროზე მას არ დაეხმარა.

ერთმანეთის მინამსგავსი,  
შიში სხვაა, სიფრთხილე – სხვა,  
ისე, როგორც სხვადასხვაა  
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.

რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?  
მართალია, გიჭრის თვალი,  
მაგრამ ჩვენში, როგორც უცხოს,

აგებნევა გზა და კვალი.

შენ ეგ საქმე მე მომანდე,  
მე ვიზამ შენს მაგიერობას:  
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს  
შევწირავ შენს მეგობრობას!

შენ აქ დარჩი, დაიძინე,  
გამოშუშდი ცეცხლის პირას!..  
და, თუ დამრჩა გამარჯვება,  
მაშინ მოგთხოვ ფეხის ქირას”.

გაეხუმრა, გამოეწყო  
სამგზავროდ და გავლო კარი.  
მიდის, ელვა გზას უნათებს  
და დაჰზმუის თავზე ქარი.

### III

ირიჟრაჟა, ქარი ჩადგა,  
გადიყარა, დადგა დარი;  
ღურჯ ბედაურს მოაგელვებს  
მეგობრისთვის მეგობარი.

მოიყვანა, დააბა და  
შინ შევიდა წყნარად, ფრთხილად.  
გრძელ ნაბადში გამოსვეულს  
სტუმარს სძინავს იქვე თბილად.

აუარა გვერდი, მიდის  
იქ, სადაც ის ეგულება,  
ვინც სიცოცხლეს ურჩევნია,  
სულს სწირავს და თავს ევლება.

გულში ამბობს: – “ერთს დავხედავ  
ტკბილად მძინარ ნაზიბროლას,  
თუ გაეუძელ გულის ძგერას,  
სულის ბრუნვას, ხორცის ურჟოლას”...

სასოებით შედის ქვაბში  
და რას ჰხედავს იქ საკვირველს!?

ნაზიბროლა ჩუმად სტირის,  
პირს იხოკავს, იკაწრავს ყელს!..

თმაგაშლილი, ტინის კედელს  
თავს ახლის და ხმას არ იღებს...  
მინგრეულს და მონგრეულსა  
ჰხედავს იქვე მის ქვეშაგებს!!

მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა;  
ზარმა დაჰკრა, ელდა ეცა!..  
და რომ კრინტიც არ დაუძრავს,  
იქვე უხმოდ ჩაიკეცა.

დიდხანს იჯდა რეტდასხმული,  
უყურებდა ცოლის ტანჯვას;  
ბოლოს ღონე მოიკრიფა  
და მოეგო ისევ ჭკუას.

მივიდა და უთხრა მტირალს:  
–“ჩუ, ნუ სტირი, გენაცვალე!  
რაც გინახავს – სიზმარია,  
დაივიწყე ისევ მალე!

ყოველგვარი მოსავალი  
კაცის თავზე უნებური,  
ღვთის რისხვაა და ტყვილად ბედს  
რას უჩივი, რათ ემდური?

გადაიგდე გულიდან ეგ  
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..  
მე და შენი სიყვარული  
წმინდა არის, ვით ლამპარი”.

მოეხვია და ცრემლები  
ამოუშრო თვალში კოცნით,  
დააწყნარა, დაამშვიდა  
აღერსით და ბევრი ხვეწნით.

მაშინ მხოლოდ გამობრუნდა  
სტუმრისაკენ და უთხრა ეს:  
–“ადე, ძმაო, გაღვიძებას  
არ აპირებ, მგონია, დღეს!”

წამოვარდა ზეზე საფარ  
შემკრთალი და დარცხვენილი!  
მაგრამ როცა მშვიდ სახეზე  
შეამჩნია მას ღიმილი,

გაიფიქრა: – “მადლობა ღმერთს!  
არაფერი შეუტყვია,  
თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა  
ხანჯლის წვერი და ან ტყვია!

არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე,  
სჩანს, ნამუსი შეუნახავს.  
ჩემს საქციელს, სამარცხვინოს,  
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?”

მერე უთხრა მის ძიძის შვილს:  
–“გატყობ, რომ ხარ კმაყოფილი,  
შეასრულე განა ჩემი  
ძნელი ნატვრა და სურვილი?”

– “შევასრულე: მოგიყვანე,  
დროა, აწ კი გაეშურე!  
ნუ დამძრახავ, საკადრისად  
თუ რომ ვერას გემსახურე!”

ხან ესა სთქვეს, ხან ისა სთქვეს,  
ისაუბრეს ჯერ ერთხანად,  
მერე წყალიც მოუტანა  
მას ხელ-პირის დასაბანად.

გამოაწყო, არ დააკლო,  
რაც წესია, სამსახური,  
რომ სტუმარი არ გაუშვას  
გულნაკლი და უმადური.

შეუკაზმა ცხენი, შესვა,  
თვითონ შეჯდა ნაქურდალზე  
და ორივემ მათრახები  
ატკაცუნეს ერთხანს ძალზე.

გაახურვეს მით ცხენები,  
აადელვეს, ააჩქარეს  
და ვიწრო გზით ის დაღმართი  
სულ კუნტრუშით ჩაატარეს.

რომ ჩავიდნენ შორი-ახლოს  
მინდვრის პირად, იქვე, დაბლა,  
მასპინძელმა შეაჩერა  
ცხენი და ხმა აიმაღლა:

–” საფარ-ბეგო! პირშავობა  
შენი ვიცი, შემიტყვია!..  
და დღეიდან ჩვენ ორს შუა  
მოციქული არის ტყვია!

არა სთქვა რა!.. არც მე გკითხავე:  
არის ზოგი შეცოდება,  
რომ სათქმელად საძნელოა,  
არც შენდობა უხერხდება!

ახლა წადი! დამეკარგე!  
ფრთხილად! არსად შემეყარო,  
რომ ცუდ გულზე უცაბედად  
შენი სისხლი არ დაეღვარო!”

ეს რომ უთხრა, შეერთა საფარ,  
გაშრა, ფერი დაედვა მკვდრის,  
ჩაუვარდა ენა პირში,  
გაქვავდა და აღარ იძვრის...

ძლივს წარმოსთქვა: – “მართალი ხარ!..  
აღარა მაქვს მე სათქმელი!..  
შემაცდინა თვით ეშმაკმა  
და დამრია ცოდვის ხელი!..

შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,  
იარაღი დამიყრია...  
სასიკვდილოდ ჩემი ნებით  
შენ წინ თავი დამიხრია...

ჩემს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს!  
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,  
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,  
სინიდისი გამიმრთელე!...”

– “არა! შენ ვერ შეგეხება  
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია:

დედიჩემის გაზრდილი ხარ,  
მისი ძუძუ გიწოვია...

რაც ქვეყანას მიაჩნია  
რჯულზე უფრო უმტკიცესად,  
რომ გასტეხე, ის გეყოფა  
სიკვდილამდე შენ საკვნესად.

წადი ჩემგან შენდობილი,  
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..  
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით  
ერთმანეთს ვერ მივენდობით!

მაგრამ ერთს კი დაგავალებ,  
ამისრულე შეჭველად:  
რომ მიხვიდე ყაბარდოში,  
იცოდე, რომ სულ პირველად

წადი, ნახე ის მოძღვარი,  
ვინც შვილივით გამოგზარდა,  
და უამბე შენი პირით,  
რაც სირცხვილი დაგემართა!”

გადმოხტა და ლურჯი ლაფშა  
მისცა ხელში, ჩააბარა,  
მოტრიალდა და აღმართი  
ძლივს ბარბაცით აიარა!

#### IV

არც გვართ, არც ვაჟკაცობით,  
არც სიმდიდრით, არც ქონებით, –  
ჰაჯი-უსუბ ცნობილია  
მხოლოდ ჭკუით და გონებით.

ჭირში, ლხინში საზოგადოდ  
უმისობა არ იქნება;  
ხელისგულზე უწერია  
თვით მაჰმადის წმინდა მცნება.

ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს,  
მნახველია ცა და ქვეყნის;  
ჯერ ისევე ჭანმაკია,  
თუმც არ არის კი მცირე ხნის.

ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის, –  
არ ტყუილი ქადილია;  
სადაც კია გვარიშვილი,  
ყველა მისი გაზრდილია.

საფარ-ბეგიც მან გაზარდა  
ისე, როგორც სხვები ყველა,  
მაგრამ მარტო წრთვნა რას იზამს,  
თუ ბუნებამც არ უშველა?

აი, სწორედ ამ უსუბთან  
მიდის ახლა საფარ-ბეგი,  
მორღუობის გამტეხი და  
ჩვეულების გადამდეგი.

ეუბნება ყოველიფერს,  
უნებურად რაც შეემთხვა;  
ცრემლები სდის და ეჩრება  
ბურთად ყელში მწარე სიტყვა.

ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ,  
სახე მოინადვლიანა:  
სიდიადე ამ მუხთლობის  
თვალწინ გაისიგრძეგანა.

ოხვრით ჰკითხა: – “მერე? მერე?  
რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა?”  
– “მაპატივა შეცოდება,  
როგორც ძმამ და მეგობარმა!..

მხოლოდ ეს კი დამავალა:  
ნახე შენი გამზრდელიო  
და მაგ შენი საქციელის  
პასუხს მისგან მოველიო!”

–” მესმის, მესმის და პასუხიც  
ჩემი მხოლოდ ეს არიო,  
რომ ნამუსის გასაწმენდად  
ჩემი ხელით სისხლს დავღვრიო!.

შეაყენა ზედა ფეხზე  
მან დამბახა გატენილი;  
მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს  
საფარ, მისი გამოზრდილი.

მაგრამ უსუბ ეუბნება:  
–“შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!  
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,  
რომ კაცად ვერ გამიზრდისხარ!”

წარმოსთქვა და საფეთქელში  
მიიჭედა ცხელი ტყვია!..  
ჩაიკეცა სულთამბრძოლი,  
წამლის კვამლში გაეხვია...

1898 წ.



Акаки Церетели  
Абаззеи

Иҗалазцәҗыа ахтыс

Ирыхъзындылоуп ҳарцақцәа

I

Ажәдан иацәа азааигәа,  
Ашьха ҳарак ду аҗы,  
Ауреи тбаареи узеилмырго,  
Цыс тықрацас акы убоит.

Зынгы җхынгы аамтақәа ззеипҗшу,  
Иааилышу җсыуа җацхоуп.  
Азын иҗхоуп, аҗхын ихьшәашәоуп,  
Ашьха наара иадҗацалоуп.

Дыди мацәыси еилақынтуа,  
Ашьхеи агеи анарзызо,  
Аҗстхәа еилач ачыларҗәны,  
Абри иахьчоит иахаҗаны.

Амза каҗха анақәыччо,

Амра цахэцахэ ианарлашо,  
Апъстеи ашьхеи еибаргэырбьо,  
Дара абартқәа ианырпыло.

Абри ақны гэырбьахэхазоит,  
Бааи хани ацанарзуеит,  
Уртқәа абри иузадкылом,  
Игэазырхагахоит, игъшзазахоит.

Нак, аҗацхахь, неига мқасы,  
Иаҗагылоуп ашьха наара,  
Имқа цэгъаны, мқахэастаны,  
Шэарахымзар егъзаҗамло.

Уахь инеирц иақәызкызгьы  
Имазароуп инеигымкәа  
Агәы еицамкуеи абла цари,  
Аихақа зхоу алабашьеи.

Ма дхаца җәбәаны дақәтәазароуп,  
Ладеи қадеи зегъы ззеипышу,  
Ашьха иаазаз, шэара ззымдыруа,  
Арашь җцәаха, ачы бзиа.

Уа инхада жәлар ирылкьны,  
Кәаҗаҗаҗа, ашьха ақәцәан?  
Апъста, арха, агъшзарақәа,  
Дабатәиу урт ирылкыу?

Хэараҕахым, уи даҕсыуоуп,  
Деилҕа–еилбэыцэза, деилыххаза,  
Хэыцы изырха, ду рацэамшьо,  
Ацэгьеи бзиеи зегь изеигъшуп.

Ачы ҕоубан, абцар бзиа,  
Ихтырҕа рқақа, ачыхэ ыргьало,  
Иуапа хэылда еилаҕауа...  
Уахагь акы деилаҕауам.

Аха дырдегь акы аццатэуп,  
Абзиабара зегь ирыцкыу,  
Зегь ирҕхьазо гэыҕацагас,  
Абригь мам хэа азиҳэозма?

Анасыҕгы ааизыҕагьан,  
Абри азгы дхэыданамтэит, –  
Абзиақэа хкыла иреиҕыыз,  
Убри ишҕа лхы нанархеит.

Абар ицуеит мызкы иаша,  
Дааиган димоуп лыла ҕшаша,  
Алмас ҕцэаха, ахьырцэацэа,  
Гэазырҕага, аихышэашэа.

Лара илыхъзуп Назиброла,  
Одышь далиааит – Агыртэыла,  
Леигъш дыҕамызт, хьызла–ҕшала,  
Деиҕахэатэын уи зегь рыла.

Лгәацаҕха, абзиабара  
Изаалыртит зегь раҕхьаза,  
Еижьарамкәа нагзарала  
Абри аҕсуа лылашара.

Урт рынхашья, реибабашья,  
Излаказ хәа узхәазашам,  
Калам царгы нап казалала  
Амсыр қяаадыш иазанцашам.

Дгыли жәқани ирыбжьанакыз  
Лаҕсуа иеиҕыыз азәгы лбомызт,  
Кармеи захәеи ацла ишакәшо еиҕш,  
Иара дикәшон, дагыыззатәуан.

Гәылеи ҕысыеи еибадырны,  
Разки насыҕи иеидыркылаз,  
Арт иреиҕшны насыҕ змаз  
Даара ирацәам аҕсабара...

Избахьада насыҕ нагза?  
Ишнеи–шнеиу, ргәакҕак нахьзоит:  
Ацха хаагы иналалоит  
Зны–зынла аз еиҕш ашак.

Ап̣ст̣х̣эа еилачи ацых лашьцеи  
Унарылп̣шны акы убашам,  
Адыд–мацэыс убаскак иб̣эб̣эоуп,  
Шэарахкгы уа изыцэашам.

Ақэа леиуеит п̣халк хышэтызшэа,  
Афартын суеит ацла хыжэжэо,  
Абна–абра адыд–мацэыс  
Ац̣қэа ирысуеит а̣б̣ь̣б̣ь̣а–гэгэахэа.

Абри еип̣ш азы ац̣баҳаным  
Иеибаргэыр̣б̣ь̣он ит̣ази иарей,  
Ап̣сабара ацыхэтэа п̣цэарцы  
Ег̣ьагзамызт уажэы–уашьтан.

Ац̣нышцэ̣к̣ьаггы игэы т̣зызауа  
Дзап̣ырцуамызт иц̣баҳаным.  
Харатэ сасык убри еип̣ш азы  
Ап̣суа ишэгэашэ уа днылагылеит.

Иб̣жыы р̣б̣эб̣эаны ап̣шэма иқэ̣еит̣ит:  
«Еи, ап̣шэма! Сас дутоуп–хэа,  
Иаамтам, аха уқагылеишь»–хэа,  
Ап̣суа «хаи»–хэа ииарта д̣ыл̣к̣ьеит.

Иееилахэауа амца д̣ац̣хеит,  
Аха иц̣ьеишьон, абри еип̣шха  
Дабатэхари сара истааз хэа,

Ашә ааимигъааит ашацахәа.

Саламышьтахь даақнашылеит  
Асас аагъса ақны ақнуцқа,  
Ихтыргъа–иуапа еилабааза  
Азы ихъыкәкәон ишьап ақынза.

Асас җымткәа иуапа ишәихит,  
Ихтыргъагъы ихашьтахь дқахеит,  
Иара убасқан асас изы  
Агъшәма асқам амцахь днахеит.

Асас иуапа нақ инкнеиҳаит,  
Ихтыргъагъы навакнеиҳаит,  
Акгъы мхәакәа даагъышәырччан,  
Ишьхәа даақәгъежът агъшәма ишқа.

«Агъшәма, уаахьагъш, са сузымдру,  
Сара саaira угәы иалсу,  
Амца еикәуцоит асас изы,  
Асас идырра уашьтазами?»

«Сафар уоума? Ухацкы сыгъсааит  
Убзыцәашья, иузгәақуа!  
Са сыблақәа уа иуеиғъаршьо  
Адунеи аҗы дарбан ирбо?»

Игәыдибакылт, еибагәызит  
Қыцья аишьцәа иеикәлацәоу реигъш,  
Нас днықналан, дарҗыхеит  
Абырфын лых игъхәыс шаша.

«Нас, амарца, бааццакыроуп,  
Асас изы фатэык бырхиароуп,  
Харатэ даауеит, даагса дыкоуп,  
Икамлари чабьяк имфацзар!»

«Моумоу,Баца, фатэы стахым,  
Уи ахагы дук исымам,  
Ус дук сашьтоуп, исылшозар,  
Даеак уахагь акгы стахым...»

Абри хэаны, ус нацицеит:  
«Са истахуп иуасхэарцы:  
Уажэраанза суаф иашан,  
Уажэы ишубо, исцэеилагеит!

Алмахсит хэа дудырыр калап,  
Аргыс еилкьяк, Инал–игъа хэа,  
Ичи икэадыри ахынеимоу,  
Дагымариам рыхэ зшьаша.

Зеггы ирхэоит иара итызшэа,  
Даара дшьахэуп, чыла дказоуп...  
Иарей сарей хаимабзиам,  
Кырггы сицэшэоит, изызозей!

Хара инафэуеит иара иажэхэ,  
Неиртас имоуп хара хэхьгы,  
Иуафышья–игъшзарала  
Ифэхагаахоит хэхэсахэычкэа.

Цоуп, ииашоуп, Зиа–Ҷаным  
Дук дизхьягъшуам, длыдылкылом,  
Егъырт дреипъшны дылҕынцэаауа,  
Дзыкамлар хэа дицэшэаны.

Зиа–Ҷаным леипъш агъхэызба,  
Сахъеи, гъшралеи, уақышьалеи,  
Макъа дыкам, дагъысымбеит,  
Зегъ лызгэаҕуеит уақы ишимбац.

Амза каччо, гъхара амамкэа,  
Агъсабара шарлашо еипъш,  
Лыказшьала, лыгъшзарала  
Зегъы лтэылтэуеит жэа рымтакэа.

Зынза длашо илыдлыгъхьалоит,  
Уи анахыс рхы дхалырштэуеит,  
Урт иралхэо, рнапы ианылцо,  
Игъсы–инха инарыгзароуп.

Сара сақэшэеит убри еипъш аус,  
Гэыла сылгеит, блала сылблит,  
Нас исалхэо, исыдылцауа,  
Инасмыгзар, сабацахуа.

Са исыдылцеит, убас салхэеит:  
«Абри ахымшк ирхымгакэа,  
Аинал–игъа ичыхэа иацэа  
Игъаць–гъацьуа сагъхья иааргыл!»



Аинал–иҗа иҗеы җоубан  
Изласоури? Хәыла иҗиуам,  
Мчыла зхазгы, бзала дишьтуам,  
Иҗсы ихыхны, цәгыала дишьуеит.

Убас схәаргы, анс схәаргы,  
Зхы бзиа избо иаҗәамзаргы,  
Ма иззароуп, ма сыҗсыроуп,  
Уи сыманы уа слызнеироуп.

Ари ззазом, аиаша схәоит,  
Уи Алмахсиҗ ичеларҗь акәар  
Са изгароуп, илызназгароуп,–  
Са сыззаазгы уи азыхәаноуп».

Дизызырҗуан ибзыцәашья,  
Зеггы иирхәит, дагыазхәыцит.  
Игәы иамыхәаз иахазаргы  
Гәахәас икны аҗакс иеихәеит:

«Даара иқәнаган, абри еиҗш аус  
Иуаҗәашьяны уаламларцы,  
Уи аҗыҗха лажәа хаазаап,  
Уара иуиааит, уагазазаап.

Абри еиҗш ашьтахь ишҗоуури,  
Хәараҗахым, ма уҗсыроуп,  
Ма иноугзароуп лара лгәахәа  
Ахы инаркны аҗыхәанынза.

Ас сҗәеит җәа, уара иудыруеит,  
Уртқәа зыгхо азә уакәзам,  
Аҕәҕәарагы, аҗбаррагы  
Ирылоу удыруеит, зегь җушәахьеит.

Арт аҗбагы дук иаҗеигьшым,  
Шәара захьзу даҗакыуп,  
Ахыхьчарак уи даҗакыуп,  
Иеилаҗашьом, иеилазҗахом.

Уцашт, аха уабацари?  
Аашьара җәа улоуцашам.  
Амҗа ззымдыруа, цқьа иашьцылам,  
Абри дхымкьар җьсыхәа имам.

Ари аус сара исыдца,  
Уара угьсы шья, ухы нкыдца,  
Ма иузаазгап убри аҗеы,  
Ма схы ақәысцап, бзала схынхәрым.

Уара уҗаз, абра унышьтал,  
Амца уныргьха, цқьа угьсы шья,  
Сманшәаланы аҗеы сзаагар,  
Нас җаицәажәап сҗьабаазы!»

Абас иахәо дааихыхәмарын,  
Ишаха шьтыхны ашә дындәылцит.  
Адыд–мацәыс имҗа арлашоит,  
Абри еигьшқәа игәы архацоит.

### III

Иаацэылашоит. Аҗсаа җыхоит,  
Адыд–мацэыс аҗеиқэнакуеит:  
Аларць җоубан нықэырҗало,  
Абзыцэашыа ашҗа дҗалоит.

Иҗеы нҗеиҗэан ақны даақналт.  
Ара дыцэоуп иуапа икэырша,  
Аҗеы ззаигаз – ахэыҗҗа бзиахэ,  
Амқа иашыыз, амца иаршыз.

Уи днаиқсит, дмырҗыхакэа,  
Диаша днеиуеит иҗаҗарашҗа,  
Уа дышьҗами иҗҗэыс лаша,  
Дынлацэажэашт шыжь фатэы җэа.

Цэҗа иаҗибом Назиброла  
Дынлыхэаҗшыр, дҗахэхэа дшыцэоу;  
Абар димбацт иахаиҗҗеи,  
Иҗсы еиҗш иибо иҗҗэыс шаша!

Иҗалазеи, ара иибазеи?  
Иҗҗэыс җшза, алмаз хыбла,  
Длабырзышо, лыхцэы нашҗҗны,  
Лиарҗа бзиахэ еилажэжэаза.

Лыбҗыы ныцак, лыла җырчаа,  
Дбызы–бызуа лиарҗа дықэтэоуп.  
Арҗқэа аниба, нас идырит,  
Иҗҗэыс дшақэшэаз амчымхара.

Лхаца дшанхан, ииуа изымдыруа,  
Хара дтэаны лгэафра дагшуан,  
Нас днахэыцны, цқя даахэыцны,  
Дышныкэашаз ихасабқэеит.

Дналхагылан, дынлацэажэеит:  
«Шьта бымцэыуан, уи азхазааит,  
Бара бзықэшээз зегь гьхызқэазааит,  
Урт иаарласны нак ибхаштқэааит!

Уаф дзынио зегь лахынцазаап,  
Уаф игеигшу дзахымгьозаап,  
Бара бзықэшээз бара ибхарам,  
Бақэшэеит, ииаст, анцэа ихаран».

Дгэйдкыл–дхыдкыл, дигэызуа,  
Лылабырзқэа уа ирбеит,  
Длыхэо–дылчо, дыцэи–цэиуа,  
Зегь башоушэа агэра лиргеит.

Нас длагьежыит асас ишка,  
Жэа хаала дыниацэажэеит:  
«Амра халеит, уфагыл шьта,  
Умфа хароуп, аамта уцэцоит!»

Сафар длацкьеит дыцэазамшэа,  
Дшэа–дырхауа, игэы цысуа,  
Аха агшэма дычча–хэмаруа,  
Гэалак змам иеигш данифагышы,

Даахэыцит: «Анцэа ицьшьоуп,  
Ипъхэыс акгы иалымхэазаап,  
Мап анакэха, ма камала,  
Ма хэызбала уа дсылгауан.

Дыпъхашьазаап аҫаца хэычы,  
Илымхэазаап дзықэшэаз акы  
Шьта издыруада, изахауада,  
Убри азыхэан сзырпъхашьода?»

Ичааибиҫан, усгы наиҳэеит:  
«Ухха–учча узлазбауала,  
Икалап, узцаз ноугзазар,  
Исзааугама са сзызгэаҫуаз?»

Анс иеибырхэеит, ас иеибырхэеит,  
Згэы егыҫазам реипъш инеихэмарит.  
